## სავალუტო გადახდების თანხლება და ბრუნვის გადაფასება

დაამატეთ მიღების ოპერაცია,უცხოელი მომწოდებლისაგან დოლარში შეიძინეთ საქონელი. **მენეჯერული აღრიცხვა/ მიღების ოპერაციები.**




დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.

ასევე სისტემაში დაამატეთ გადახდის ოპერაცია . **ბუღალტერია /გატარებები.**




დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.

ბუღალტერია/შედეგები/გადახდის ანალიზი.




დააკავშირეთ მიღების ოპერაცია გადახდის ოპერაციასთან . დადექით ეკრანის მარცხენა მხარეს კონკრეტულ ოპერაციაზე , შემდეგ ეკრანის მარჯვენა მხარეს დასაკავშირებელ გადახდის ოპერაციაზე და დააჭირეთ ღილაკს  .

რადგან მიღების და ანგარიშსწორების ოპერაცია არის სხვადასხვა თარიღში და კურსიც შესაბამისად იყო განსხვავებული ამიტომ საჭიროა ბრუნვის გადაფასების შესრულება რათა გაიქვითოს ექვივალენტური სიდიდეებიც.დადექით მიღების ოპერაციაზე და დააჭირეთ ღილაკს  ჩაბურღვა დეტალიზაცია.




იხილავთ ეკრანს:




დოლარში სადებეტო და საკრედიტო ბრუნვა ტოლია ,რაც შეეხება ექვივალენტს , ექვივალენტები განსხვავებულია რადგან კურსი ამ თარიღებში განსხვავებული იყო.იმისათვის რომ ბრუნვის სხვაობის ექვივალენტი განულდეს მითითებულ ანგარიშზე უნდა შეასრულოთ ბრუნვის გადაფასების ოპერაცია.დახურეთ ეკრანი.

ეკრანის მარცხენა მხარეს დადექით გადახდის ოპერაციაზე და დააჭირეთ ღილაკს . იხილავთ ეკრანს:




ველში „ბრუნვის გადაფასების თარიღი“ შეგიძლიათ მიუთითოთ ბრუნვის გადაფასების ოპერაციის თარიღი.

ველში „გადაფასების ოპერაციის დოკუმენტის ნომერი“ სისტემა ავტომატურად უთითებს დოკუმენტის ნომერს.

ველში „შემოსავლის ანგარიში“ სისტემას ავტომატურად აქვს მითითებული ანგარიში „8190“.

შეგიძლიათ შეცვალოთ.

ველში „სხვა არასაოპერაციო ხარჯები“ სისტემას ავტომატურად აქვს მითითებული ანგარიში „8290“. შეგიძლიათ შეცვალოთ.

ველში „დებიტორ/კრედიტორის ანგარიში“ სისტემა ავტომატურად უთითებს იმ ანგარიშს რა ანგარიშიც მითითებულია ანგარიშსწორების ოპერაციაში.

ასევე ეკრანზე მოცემულია ტექსტი რა თანხის მიღების ოპერაცია შესრულდა რა კურსით , რა ექვივალენტით და რა თანხის გადახდა მოხდა, რა ექვივალენტით და რა კურსით.

მოსანიშნის „ OK დაჭერის შემდეგ ვნახოთ შესრულებული ბრუნვის გადაფასების ოპერაცია“ მონიშვნის შემთხვევაში ,ოპერაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ ბრუნვის გადაფასების შესაბამის გატარებებს.

დააჭირეთ ღილაკს „OK“.




მიღების ოპერაციაზე და დააჭირეთ ღილაკს ჩაბურღვა დეტალიზაცია.



იხილავთ ეკრანს:




| ანგარიში | დასახელება | სადებეტო ბრუნვა | საკრედიტო ბრუნვა | ბრუნვის სხვაობა | სადებე. ნაშთი | საკრედიტო ნაშთი | ბრუნვა დებეტი ექვივალენტი | ბრუნვა კრედიტი ექვივალენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3110 6 | 6 უცხოელი მომწოდებელი | 180.00 | 180.00 | | | | 561.22 | 561.22 |
| | | 180.00 | 180.00 | | | | 561.22 | 561.22 |

ბრუნვის გადაფასების ოპერაციის შესრულების შემდეგ ექვივალენტური ნაშთიც გაიქვითა.